საექსპერტო შეფასება

ქ. თბილისში, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქუჩა N10 (ს.კ.# 01.10.15.007.200)
ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის

კონსტრუქციულ ნაწილზე

საექსპერტიზოდ წარმოდგენილია ქ. თბილისი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქუჩა N10 (ს.კ.# 01.10.15.007.200) ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის:

- არქიტექტურული ნაწილი;
- კონსტრუქციული ნაწილი;
- ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები
- შენობის მზიდი კონსტრუქციის, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშება.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია შპს "კუბიკონი"-ს მიერ (წამყვანი კონსტრუქტორი მ. საჯაია).

საპროექტო შენობის აღწერილობა

მიღებული საპროექტო გადაწყვეტით ობიექტი წარმოადგენს მიწის ზედა რვა სართულიან შენობას, ერთი მიწისქვედა სართულით. გეგმაში მარკუთხა მოხაზულობით, ზომები ღერძების მიხედვით 44,25 x 22,10 მ-ს შეადგენს.

ელემენტების გეომეტრიული ზომები:

- საძირკველი: **მონ. რკ/ბ. ერთიანი ფილა სისქით 100 (h) სმ.**
- სვეტები: **კვეთები იცვლება სართულების მიხედვით 50 X 80 სმ., 50 X 70 სმ., 50 X 50 სმ. 20 X 40 სმ.**
- რიგელები: **50 X 60 (h) სმ; 20 X 60 (h) სმ; 20 X 40 (h) სმ; 30 X 60 (h) სმ;**
- გადახურვის ფილები: **სისქით 18 სმ; 20 სმ; 22 სმ;**
- კიბეები: **მონოლითური რკინა/ბეტონის;**
- კედლები: **მონ. რკ/ბ. კედელი სისქით 25 სმ;**
- სახურავი: **ბრტყელი გადახურვა;**
- პარაპეტი: **სისქით 20 სმ;**

სამშენებლო ტერიტორია განისაზღვრება შემდეგი კლიმატური პირობებით:

- ჩაყინვის სიღრმე $h =$ 0.00 მ (პნ 01.05-08);
- ქარი (ნორმატიული) $W_0 =$ 0.85 კპა (პნ 01.05-08);
- თოვლი (ნორმატიული) $q =$ 0.50 კპა (პნ 01.05-08);

სეისმურობა

საქართველოს ტერიტორიის სეისმური საშიშროების რუქის მიხედვით ტერიტორია იმყოფება 8 ბ. სეისმურ ზონაში (სკალა MSK64), ჰორიზონტალური აჩქარება A - 0.17 (სეისმურობის კოეფიციენტი);

საძირკვლის ფუძედ მიჩნეული გრუნტის მახასიათებლები:

პროექტის მიხედვით 9 სართულიანი შენობა 100 სმ.-იანი სისქის საძირკვლის ფილის საშუალებით ეფუძნება ხელოვნურ ფუძეს, რომლის სისქე უნდა დაზუსტდეს ადგილზე, ხოლო ხელოვნური ფუძე დაფუძნებულია გრუნტზე – **სგე - I (თიხა ყავისფერი მყარი, ქვიშის თხელი ლინზებით და შუაშრეებით),** რომელის მახასიათებლებია:

სგე-IV			
საანგარიშო წინაღობა	R_0	310	კპა
დეფორმაციის მოდული	E	16,94	მპა
შიდა ხახუნის კუთხე	φ	16.4	°
შეჭიდულობის ძალა	C	45.4	კპა
პუასონის კოეფიციენტი	μ	0.26	
სიმკვრივე	ρ	1.86	გრ/სმ³

სეისმური თვისებების მიხედვით **სგე-I** მიეკუთვნება **II** კატეგორიას. (პნ 01.01-09 ცხ. N 1)

ცხრილი 1.

გრუნტების კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით	გ რ უ ნ ტ ე ბ ი	სეისმურობა		
		7	8	9
		საშენებლო მოედნის საანგარიშო სეისმურობა		
I	კლდოვანი გრუნტები გამოუფიტავი და სუსტად გამოფიტული, უნაპრალო და სუსტად ნაპრალოვანი; მსხვილნატეხოვანი გრუნტები, მკვრივი, ქვიშაანთიხოვანი შემავსებლით 30%-მდე, მცირე ტენიანი. განივი ტალღის გავრცელების საშუალო სიჩქარე V_s >800 მ/წმ.	6	7	8
II	1. კლდოვანი გრუნტები გაძოფიტული, ძლიერ გაძოფიტული და ძლიერ ნაპრალოვანი; 2. მსხვილნატეხოვანი გრუნტები, რომლებიც I კატეგორიას არ განეკუთვნება; 3. ქვიშები ხრეშოვანი, მსხვილი და საშუალო მარცვლოვანი, მკვრივი და საშუალო სიმკვრივის, მცირე ტენიანი და ტენიანი; 3.1. ქვიშები წვრილმარცვლოვანი და მტვრიანი, მკვრივი და საშუალო სიმკვრივის მცირე ტენიანი; 4. თიხოვანი გრუნტები კონსისტენციის მაჩვენებლით $I_L \leq 0,5$ ფორიანობის კოეფიციენტით $e<0,9$ თიხებისა და თიხნარებისათვის და $e<0,7$ ქვიშნარებისათვის; განივი ტალღის გავრცელების საშუალო სიჩქარე V_s=300÷800 მ/წმ.	7	8	9
III	1. ქვიშები ფხვიერი, ტენიანობისა და მარცვლიანობის მიუხედავად; 1.1. ქვიშები ხრეშიანი, მსხვილ და საშუალო მარცვლიანი, მკვრივი და საშუალო სიმკვრივის, წყალგაჯერებული; 1.2. ქვიშები წვრილმარცვლიანი და მტვრიანი, მკვრივი და საშუალო სიმძიმის, ტენიანი და წყალგაჯერებული; 2. თიხოვანი გრუნტები კონსისტენციის მაჩვენებლით $I_L>0.5$; 2.1. თიხოვანი გრუნტები კონსისტენციის მაჩვენებლით $I_L \leq 0.5$, ფორიანობის კოეფიციენტით $e \geq 0,9$ თიხებისა და თიხნარებისათვის და $e \geq 0,7$ ქვიშნარებისთვის; განივი ტალღის გავრცელების საშუალო სიჩქარე V_s=100÷300 მ/წმ.	8	9	>9
IV	ძალიან სუსტი გრუნტები: ლამიანი, თანამედროვე ორგანოგენული, ნაყარი, გათხევადებისაკენ მიდრეკილი წყალგაჯერებული გრუნტები და ა.შ. განივი ტალღის გავრცელების საშუალო სიჩქარე V_s<100 მ/წმ.	სეისმურობა ზუსტდება სპეციალური კვლევის შედეგად		

სამშენებლო ტერიტორია ძირითადში სწორი ზედაპირისაა. ქვაბულის ფერდები შენობის სამი მხრიდან ბუნებრივი ქანობებითაა გათვალისწინებული დამატებითი კონსტრუქციული ღონისძიებების გარეშე, ფერდის დახრის კუთხე ზუსტდება ადგილზე (სამშენებლო მოედანზე) ამა თუ იმ გრუნტის ტიპის და ზედაპირზე გამოვლენის შესაბამისად, ხოლო სამხრეთის მხრიდან Ø60 სმ-იანი ხიმინჯების მწკრივია მოწყობილი 100 სმ-იანი ბიჯით.

მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე და მის ირგვლივ არ აღინიშნება საშიში გეოლოგიური პროცესები და მათი ჩასახვა არც მომავალშია მოსალოდნელი, იგი იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში;

შენობის გაანგარიშება შესრულებულია სასრულ ელემენტთა მეთოდით, ЛИРА-САПР 2022 R3-ის გამოყენებით, სამშენებლო ნორმები და წესები “სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01–09) გათვალისწინებით.

შენობის მზიდი ელემენტების კონსტრუირებას საფუძვლად უდევს მისი, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშების შედეგები მუდმივ და დროებით ხანმოკლე ვერტიკალურ დატვირთვებზე, ჰორიზონტალურ სეისმურ ზემოქმედებაზე და მათ საანგარიშო თანწყობაზე. საანგარიშო სქემაში საძირკვლის ფუძის გრუნტების მუშაობა ჰორიზონტალური მიმართულებით გათვალისწინებულია დრეკადი ბმების საშუალებით. შენობის საანგარიშო მოდელი დაპროექტებისათვის მისაღები სიზუსტით შესაძლოდ სრულად აღწერს ნაგებობის მუშაობის სურათს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ პროექტში მიღებული გადაწყვეტები თანხვედრაშია ნორმატიული დოკუმენტაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან - მზიდი ელემენტები აკმაყოფილებენ სიმტკიცისა და სიხისტის პირობებს.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი როგორც შინაარსობრივად, ასევე ნახაზების გრაფიკული გაფორმების მხრივ პასუხობს ქვეყანაში მოქმედ ტექნიკური ნორმატული დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. წარმოდგენილი მასალით იქმნება სრული შთაბეჭდილება მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტების სისწორის შესახებ, შესაბამისად პროექტის კონსტრუქციული ნაწილი მისაღებია მშენებლობისათვის.

უნდა აღინიშნოს საექსპერტიზოდ წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესრულების მაღალი დონე, როგორც შინაარსობრივად, ასევე გაფორმებით. პროექტით გადმოცემული ინფორმაცია არის სრული და ადვილად აღსაქმელი.

მუშა ნახაზებში მოცემულია:

- შენობის ჩონჩხედის ელემენტების სქემები;
- კონსტრუქციების დაარმატურებები;
- დამახასიათებელი დეტალები და კვანძები;
- მოყვანილია გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები.

ამდენად, დამპროექტებელ კონსტრუქტორთა მიერ ხორციელდება ცნობილი კონსტრუქციული გადაწყვეტების მისადაგება-მორგება არქიტექტურულ-გეგმარებით გადაწყვეტებთან, ადგილობრივ მეტეოროლოგიურ, გეოლოგიურ და სეისმოლოგიურ პირობებთან.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ექსპერტიზის ჩატარების პროცესში პროექტის ავტორის მიერ გათვალისწინებული იყო ექსპერტის შენიშვნები და სათანადო კორექტივები შეტანილი იყო პროექტში.

დასკვნა

ამრიგად, ქ. თბილისი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქუჩა N10 (ს/კ 01.10.15.007.200) ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილი პასუხობს მოქმედი ნორმების მოთხოვნებს და ეძლევა რეკომენდაცია მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

ექსპერტი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი ნ. სახელაშვილი



ნინო სახელაშვილი

ინჟინერ-კონსტრუქტორი
დამოუკიდებელი ექსპერტი

კონტაქტი

(+995) 555 53 55 22

თბილისი, ჭყონდიდელის 66

nino.sakhelshvili@outlook.com

ენები და უნარ-ჩვევები

ინგლისური B2

რუსული B2

AutoCad

Revit

LIRA

MS Office

განათლება

1996-2000 წ. _ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი/ სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა / ინჟინერ-მშენებელი / ბაკალავრი

2001-2003 წ. _საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი/ სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა / მშენებლის მაგისტრი

2003-2004 წ. _ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი/ სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა / ასპირანტი

სამუშაო გამოცდილება

2022-დან დღემდე
დამოუკიდებელი ექსპერტი

კუბიკონი 2015-2022
ინჟინერ-კონსტრუქტორი
CAD მენეჯერი
ხარისხის კონტროლი

არტსტუდიო პროექტი 2005-2015
ინჟინერ-კონსტრუქტორი

თი ენდ ბი სამშენებლო და საკონსულტაციო კომპანია 2005-2010
ინჟინერი

ჯეოინჟინირინგი - საინჟინრო კვლევა-ძიება.2003
ინჟინერი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

with honours

STU № 006403

This is to certify that Mr./Mrs. Nino Sakhelashvili in 2000 completed a full Bachelor's course of the Civil-Engineering Faculty of the Georgian Technical University majoring in Industrial and Civil Engineering.

By resolution of the State Examination Board, dated December 22, 2000 Mrs. Nino Sakhelashvili is conferred the degree of Bachelor of Engineering

qualifying as Civil-Engineer

Rector R. Khurodze

Chairman of the State Examination Board

Dean

City Tbilisi 7.02.2001

Registration № 02385 Secretary G.Grasalia

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

წარჩინებით

სტუ № 006403

მიეცა ნინო გიორგის ას. სახელაშვილს

მასზედ, რომ მან 2000 წელს დაამთავრა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სამშენებლო ფაკულტეტის

ბაკალავრიატის სრული კურსი, სპეციალობით

სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

საბჭოს 2000 წლის

22.XII გადაწყვეტილებით

ნინო გიორგის ასულ სახელაშვილს მიენიჭა

ბაკალავრის ხარისხი და

ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი თბილისი 7.02.2001.

სარეგისტრაციო № 02385 მდივანი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

with honours

STU № 004686

This is to certify that Mr./Mrs. Nino Sakhelashvili in the year 2003 completed a full Master's course of the Georgian Technical University majoring in Industrial and Civil Engineering

By resolution of the State Examination Board, dated February 25, 2003, Mrs. Nino Sakhelashvili is conferred the degree of Master of Engineering

Rector .....

Seal

Chairman of the State Examination Board .....

Dean .....

City Tbilisi May 21, 2003

Registration № 0830 Secretary .....

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

წარჩინებით

სტუ № 004686

მიეცა ნინო გოთუას ასულ სახელაშვილს მასზედ, რომ მან 2003 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის სრული კურსი, სპეციალობით სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით ნინო გოთუას ასულ სახელაშვილს მიენიჭა მშენებლობის მაგისტრის ხარისხი

რექტორი .....

ბ.ა. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე .....

დეკანი .....

ქალაქი თბილისი 21.05.2003 წ.

სარეგისტრაციო № 0830 მდივანი .....

Georgia

IDENTITY CARD

მოქალაქის პირადობის მოწმობა

საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME

ნინო

NINO

გვარი / LAST NAME

სახელაშვილი

SAKHELASHVILI

მოქ. / CIT	სქესი / SEX	პირადი No / PERSONAL No
GEO	მდ / F	01007002814

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH	მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY
05.10.1978	16.08.2033

ბარათის No / CARD No

22ID27621

ხელმოწერა
SIGNATURE



დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH

თბილისი

TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE

16.08.2023

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY

იუსტიციის სამინისტრო

MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2022

სფს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE022ID27621101007002814<<<<

7810059F3308165GE0<<<<<<<<<<<<<1

SAKHELASHVILI<<NINO<<<<<<<<<<<<

შესრულებული ობიექტების სია (არასრული)

<u>საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები:</u>

2014	ქ. თბილისი	#103 საჯარო სკოლა 1000 მოსწავლეზე
2014	მარტყოფი	მარტყოფში ლტოლვილთა თავშესაფარი
2015	ქ. თბილისი	სავაჭრო ობიექტი აღმაშენებლის ხეივანზე
2015	ქ. თბილისი	სავაჭრო ცენტრი გლდანში
2015	ქ. თბილისი	სასტუმრო ლერმონტოვის ქ. N5
2015	ქ. თბილისი	სასტუმრო აღმაენებლის გამზირზე (იბისა)
2017	ქ. თბილისი	სასტუმრო ავლაბარში(Holiday Inn) ჰოლიდეინი
2018	ქ. თბილისი	თიბისი ბიზნეს ცენტრი
2020	ქ. თბილისი	გლდანის სარეაბილიტაციო ცენტრი
2020	ქ. რუსთავი	სარეაბილიტაციო ცენტრი რუსთავში
2021	გორის მუნიციპალიტეტი სოფელი შავშვები	სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემნახველი სამაცივრე შენობა

<u>მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები:</u>

2014	ქ. თბილისი	9 სართულიანი საცხ.სახლი სოფელ დიღომში, ტოიოტას ცენტრის მიმდებარე ტერიტორია
2016	ქ. თბილისი	მწვანე ალმასი
2020	ქ. თბილისი	მრავალბინიანი გამრეკელზე
2020	ქ. თბილისი	საცხოვრებელი სახლი ნუცუბიძეზე

<u>ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები</u>

2015	ქ. თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
2015	ქ. თბილისი, სოფ. კიკეთი	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
2017	ქ. თბილისი, სოფელი ლისი, (ნაკვ. 07/003)	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
2017	ქ. თბილისი ივერთუბანი	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
2018	ქ. თბილისი სოფ. წავკისი	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
2018	ქ. თბილისი სოფ. დიღომი	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
2019	ქ. თბილისი. გელათის ქუჩა.	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
2020	ქ. თბილისი დიღმის სასწ. საცდელი მეურნეობა (ქოშიგორა)	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
2020	ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, ე.წ. "ქეთქეთების"-ს ტერიტორია	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
2022	ქ. მცხეთა სოფ.საგურამო	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი

<u>რეკონსტრუქცია</u>

2014	ქ. ქუთაისი	ყოფილი კლინიკური საავადმყოფოს რეკონსტრუქცია
2014	ქ. თბილისი	ქ. თბილისი აღმაშენებლის 178 სასტუმრო
2015	ქ. თბილისი	რუსთაველის 30, სასტუმრო “HYATT”;
2015	ქ. თბილისი	სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასის რეკონსტრუქცია
2016	წინანდალი	წინანდალი ღვინის ქარხნის რეკონსტრუქცია